



MES 5 23 0001393090



18/10/2023

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 05 ოქტომბერს**.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **კახა შენგელია** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" პრეზიდენტი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **გაგა გვენეტაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
4. **დავით ბოსტოლანაშვილი** - შპს "ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
5. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის მენეჯერი, პროფესორი;
6. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
7. **ნინო იმნაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8. **გია ლობჯანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, ზოგადი ქირურგიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი;
9. **ელენე ჟურავლოვა** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ამავე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
10. **ლელა სალაყაია** - ა(ა)იპ - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის სენატის წევრი, შპს "ვიონი საქართველოს" პერსონალთა მუშაობისა და ადმინისტრაციულ საქმეთა დირექტორი, დამსაქმებელი;

11. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
12. **კონსტანტინე სირბილაძე** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **ნინო სარჯველაძე** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
2. **ლალი ოდიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

1. ხათუნა თოდაძე - ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით;
2. ირინე კვაჭაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
3. ალექსანდრე ბუაჩიძე - კანცლერის მოადგილე;

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი

1. მანანა ცერცვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
2. მარიამ ველიჯანაშვილი - დიპლომირებული მედიკოსის პროგრამების (ქართული/ინგლისური) ხელმძღვანელი;
3. ლელა აფციაური - ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის პროგრამის ხელმძღვანელი;
4. ხათუნა მაკალათია - მედიცინის ფაკულტეტის დეკანი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები)

სსიპ -თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ია მოსაშვილი

ირინე ფხაკაძე

თამარ გაიხარაშვილი

დავით სიხარულიძე

დავით ტეფნაძე

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი

ელენე გიგინეიშვილი

თამარ გოდერიძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არააგემიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არააგემიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 16:00 საათზე.

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრების აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სხდომაზე დამსწრე წევრებს, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითააცილება.

- კი

თვითაცხადი განაცხადეს ზურაბ ორჯონიკიძემ და გაიანე სიმონიამ. თვითაცხადების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას თანდართული დოკუმენტაციით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტი ია მოსაშვილი მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურა, რომელიც ამჟამად განვითარების პროცესშია. მისი თქმით, ვერ მოხერხდა ყველა პრაქტიკის ობიექტის მონახულება მათი მზარდი რაოდენობიდან გამომდინარე. ექსპერტის მოსაზრებით, უნივერსიტეტი იმსახურებს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდას. მან აღნიშნა, რომ გაცემული იყო ორი რეკომენდაცია მეორე სტანდარტთან მიმართებით.

ექსპერტმა დავით სიხარულიძემ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ხარისხის მართვის დოკუმენტის განახლებას ეხებოდა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემუშავებულია და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამების, სილაბუსების, სამეცნიერო პუბლიკაციების და სახელმძღვანელოების შეფასების კრიტერიუმები და პროცედურა. ასევე შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო ლიტერატურის შეფასების პროცედურა და კრიტერიუმები. ექსპერტის მოსაზრებით ზემოხსენებული დოკუმენტები საჭიროებს განახლებას, რათა შესაბამისობაში მოვიდეს ბაზარზე არსებულ თანამედროვე მოთხოვნებთან. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა ისეთი ტრენინგების ჩატარებას, რაც ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობას გააუმჯობესებდა.

ექსპერტმა, ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებასთან კომუნიკაციის შედეგად ნათლად არ გამოიკვეთა განსხვავება აფილირებულ და აკადემიურ პერსონალს შორის და შესაბამისად, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაიცა რჩევები. მან ასევე დაამატა, რომ სასურველია უნივერსიტეტმა გაზარდოს ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა. გარდა ამისა, დაწესებულებამ ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტებს სამეცნიერო კვლევით აქტივობებში ჩართვას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი ხათუნა თოდაძე მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ რეკომენდაციები და რჩევები პროგრამის განვითარების მიზნით იყო გაცემული. მან განმარტა, რომ ხარისხის კონტროლის სტრატეგია და დოკუმენტები ყოველთვის განახლების პროცესშია. მისი თქმით, უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე ყველა მომუშავე პირი აფილირებული პროფესორია, გარდა ერთისა. უნივერსიტეტი ეთანხმება ექსპერტებს იმ

ნაწილში, რომ სტრატეგიულ დოკუმენტში გაწერილ იქნას პირის ავილირების სტატუსთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები. ხათუნა თოდაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ეფექტურად მოქმედებს ტრენინგის ცენტრი, რომელშიც მონაწილეობას იღებს როგორც უნივერსიტეტის ავილირებული პერსონალი, ისე მოწვეული აკადემიური პერსონალი. გარდა ამისა, დაწესებულებაში გახსნილია სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის ცენტრი (AMEE).

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:19

დასრულების დრო: 16:28

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა 11700-მდე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის, 89-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, 90-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 91-ე მუხლის მე-9 და მე-11 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს (ს/კ: 211328703) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 11700-ით.

2. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტი ელენე გიგინეიშვილი მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ წინა ვიზიტისას დაწესებულების მიმართ გაცემული იყო 17 რეკომენდაცია. ექსპერტთა ჯგუფმა ივლისის თვეში განხორციელებული ვიზიტის შემდეგ დასკვნაში აღნიშნა, რომ მოცემული 17 რეკომენდაციიდან დაწესებულებამ შეასრულა 15 რეკომენდაცია, ხოლო 2 რეკომენდაცია შეასრულა ნაწილობრივ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ მიერ დაწესებულების მიმართ დამატებით გაიცა 2 რეკომენდაცია.

ექსპერტმა საბჭოს გააცნო დაწესებულების მიერ შესრულებული/ნაწილობრივ შესრულებული რეკომენდაციები: „1. რეკომენდებულია საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართული სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის გაზრდა საუკეთესო გამოცდილების გაზიარებით. 2. რეკომენდებულია გაუმჯობესდეს ხარისხის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო ერთეულების დონეზე. 3. რეკომენდებულია გააქტიურდეს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები საგანმანათლებლო პროგრამებში გაწერილი სწავლის შედეგების და პრაქტიკული უნარების შეფასების კუთხით. 4. უნივერსიტეტის მმართველობამ უნდა განიხილოს პლაგიატის აღმოჩენის საკუთარი პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა, მისი „ელემეს“ (LMS) სისტემაში ინტეგრირება და პლაგიატზე შეამოწმოს სტუდენტების ყველა წერითი ნაშრომი.“ ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოცემული რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია. დაწესებულება იყენებს “Google Classroom”-ს და “Copleaks”, რომლის გადახდის ქვითრები და სქრინები დაწესებულებამ ვიზიტის პროცესში წარმოადგინა, თუმცა ინტეგრირებული არ აქვს „ელემესში“ (LMS).

რაც შეეხება რეკომენდაციას, რომ მონიტორინგი გაეწიოს სასწავლო პროცესს, რათა სწავლის შედეგების შეფასება მოხდეს პროგრამასა და სილაბუსებში გაწერილი მეთოდების მიხედვით, ექსპერტმა განმარტა, რომ მოცემული რეკომენდაცია უნივერსიტეტის მიერ შესრულებულია.

ასევე, „რეკომენდებულია განხორციელდეს პრაქტიკული და კომუნიკაციური უნარების იმ შედეგების შეფასების ანალიზი, რომელიც რეალურად დანერგილი და გამოყენებული იქნება პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესის დროს, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებასა და ხარისხის უზრუნველყოფას“, აღნიშნული რეკომენდაცია ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, უნივერსიტეტმა გაიზიარა და შეასრულა.

საბჭოს თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა ექსპერტს, რომ მხოლოდ იმ რეკომენდაციებზე გაეკეთებინა აქცენტი, რომლებიც ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული ან არ შესრულდა დაწესებულების მხრიდან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააგრძელა იმ რეკომენდაციების ჩამოთვლა, რომლებიც უსდ-მ ნაწილობრივ შეასრულა: 1. რეკომენდებულია გაიმართოს სტუდენტების გასაჩივრების მექანიზმები და სტუდენტებს მიეცეთ ყველა ტიპის შეფასების გასაჩივრების საშუალება -

დაწესებულებამ მოცემული რეკომენდაცია ნაწილობრივ შეასრულა. მან აღნიშნა, რომ რეაბილიტაციის ცენტრში განხორციელდა ექსპერტთა ვიზიტი, სადაც ტარდებოდა ობიექტური და სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა, თუმცა არ იყო აუდიო - ვიდეო ჩანაწერის ტექნიკური აღჭურვილობა. შესაბამისად, სტუდენტებს არ ჰქონდათ პრაქტიკული გამოცდის გასაჩივრების შესაძლებლობა და ამან განაპირობა აღნიშნული რეკომენდაციის გაცემა. ექსპერტმა ელენე გიგინეიშვილმა დამატებით 3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რეკომენდებული იყო „ელემეს“ (LMS). სისტემაში პორტფოლიოს, როგორც შეფასების ერთ-ერთი სავალდებულო მეთოდის ინტეგრირება, სარეაბილიტაციო კლინიკის აუდიო-ვიდეო აპარატურით უზრუნველყოფა და შუალედური კლინიკური გამოცდა, რაც მოიაზრებს პაციენტის ჩართულობის გამოყენებას, გახდეს სავალდებულო და არა არჩევითი, რაც შეიძლება დარეგულირდეს მაღალი ქულობრივი განაწილებით. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ უნივერსიტეტმა თითოეულ ფაკულტეტზე დაამატა ახალი თანამშრომლები განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით, რომლებიც საგანმანათლებლო ერთეულების დონეზე ეწევიან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქმიანობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი მანანა ცერცვაძე მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი მოსაზრებით, დამატებითი 3 რეკომენდაცია ექსპერტების მიერ გაცემული იყო ობიექტურად. მან განაცხადა, რომ სანამ ჩაინიშნებოდა ავტორიზაციის საბჭო, მანამდე უნივერსიტეტი მუშაობდა აღნიშნულ რეკომენდაციებზე. ეს არ იყო ისეთი რეკომენდაციები, რომლებიც ვერ შესრულდებოდა. მისი თქმით, მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტით და მინიმალური სტანდარტის გათვალისწინებით რეკომენდებულია „ელემეს“ (LMS) სისტემაში პორტფოლიოს, როგორც შეფასების ერთ-ერთი სავალდებულო მეთოდის ინტეგრირება. აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებას ნაწილობრივ შესრულებული ჰქონდა. მან აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭო და ექსპერტები იცნობენ დაწესებულების მიერ გაზიარებულ ყველა დოკუმენტს. ექსპერტებმა სულ სხვა მიზნით მოითხოვეს „ელემეს“ (LMS) სისტემის გახსნა და შემოწმება. ისინი აღფრთოვანებულები დარჩნენ იმით, რომ ელექტრონულ „ელემეს“ (LMS) სისტემაში ჩაშენებული დახვდათ „OSCE“-ის მინი კლინიკური გამოცდების შეფასების მექანიზმები და მეთოდები. შესაბამისად, 11 კომპონენტიდან 8 უკვე ჩაშენებულია, ხოლო სამზე ახლა მიმდინარეობს მუშაობა. ეს სამი კომპონენტი არის ის კომპონენტები, რომლებიც სამეცნიერო უნარების შეფასებას უზრუნველყოფს. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა იმას, რომ სარეაბილიტაციო კლინიკა უზრუნველყოფილი ყოფილიყო აუდიო-ვიდეო ჩანაწერის სისტემით. აღნიშნული რეკომენდაცია უნივერსიტეტმა გაითვალისწინა და ექსპერტების ვიზიტის შემდეგ დამონტაჟდა სარეაბილიტაციო კლინიკაში აუდიო-ვიდეო ჩანაწერის სისტემა. აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებლად დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა გადაღებული ფოტომასალა. მანანა ცერცვაძემ მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი იზიარებს ამ რეკომენდაციას და უკვე შეტანილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი სილაბუსებში.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა ცერცვაძემ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები მათ სრულად გაიზიარეს და უკვე განხორციელებს შესამისი ცვლილებები. ჩატარებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციას კი წარმადგინეს არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად.

ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა განაცხადეს, რომ მათ მიიღეს შესაბამისი მტკიცებულებები, თუმცა რადგან ცვლილებები განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ ეს დოკუმენტაცია ვერ მიიღეს მხედველობაში. შესაბამისად მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ დარჩა უცვლელი.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:48
დასრულების დრო: 16:54

საბჭოს წევრებმა ზეპირი მოსმენის საფუძველზე ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები გადაიტანეს რჩევებში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის 25 - ე პუნქტის შესაბამისად, შეწყდეს შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2023 წლის 05 ოქტომბრის 16:55 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გვენეტაძე გაგა

